ოქმი:ო31. 3126027001
თარიღი:27/01/2026

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N1

ქ. ლანჩხუთი

20.01.2026

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის პირველი სხდომაა. დარბაზში მყოფთ მიულოცა შობა-ახალი წელი, ასევე, წარმატება და შემართებით საქმიანობა უსურვა კოლეგებს, რაც საბოლოო ჯამში ასახვას ჰპოვებს მოსახლეობის კეთილდღეობაზე. საკრებულოს თავმჯდომარემ ამის შემდეგ აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა დამატებითი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.

მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და

აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/
2**.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/
3. „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/
4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/
5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/
6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/
7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/
8. სხვადასხვა საკითხები.
დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
დღის წესრიგის პირველი საკითხი: .„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ დანართი N1-ში და დანართი N2-ში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი N1-ის და დანართი N2-ის რედაქციით.
საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.
საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N1 (20.01.2026).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ დასამტკიცებლად წარმოდგენილია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის კორექტირებული დანართი.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.
საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N2 (20.01.2026).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ მ/წლის 01 ოქტომბერს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულება“, რაც დამტკიცდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით. 2025 წლის 11 დეკემბერს N1 შეთანხმების აქტით ცვლილება შევიდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებაში.

კერძოდ: ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების, მათ შორის, შენობის ძირითადი აგრეგატების შეკეთების სამუშაოების, დაფინანსება/განხორციელება“. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებულ, დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ანალოგიური წესი ვრცელდება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევებზეც.

პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა განსაზღვრულია დელეგირების შესახებ კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N1 (20.01.2026).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან განმარტა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) შშმ პირთა დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 01)

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 02)

გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;(პროგრამის კოდი 06 02 03)

დ) ცენტრ ,,იავნანას” თანადაფინანსების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 04)

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 05)

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 06)

ზ) მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 07)

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 08)

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 09)

კ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბი"- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 10)

ლ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 12)

მ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 23).

ნ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა (პროგრამის კოდი 06 02 24).

ო) რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 25).

მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსის განმარტებით, მუნიციპალიტეტმა წერილობით მიმართა სერვისების განვითარების სააგენტოს, რათა მოხდეს დაშვება სარეიტინგო ქულებზე. არსებული ინფორმაციით,

მიმდინარე წელს იმ ბენეფიციარებთან დაკავშირებით, რომელთაც ქულები მინიჭებული აქვთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, წვდომა დაშვებული იქნება და მომსახურებას უზრუნველყოფს მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური. ასევე, სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართვაში დაზუსტებულია მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მიეცეთ წვდომა იმ ბენეფიციარების სარეიტინგო ქულებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, მაგრამ გარკვეული პირობების გამო ცხოვრობენ სხვა მუნიციპალიტეტში. ამ ეტაპისთვის, არ არის ცნობილი, დაკამყოფილდება თუ არა ეს მოთხოვნა, მაგრამ ჩანაწერი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში მიწანშეწონილია დარჩეს, რათა არ დაზარალდეს ეს ადამიანები და სამართლებრივად სწორად მოხდეს დახმარების გაცემა.

რაც შეეხება სოციალური დახმარების გაცემას, მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი; მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები**,** ხოლო სოციალური დახმარების გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

საკრებულოს წევრმა, **ჯუმბერ ბლაგიძემ** პირველ რიგში დამსწრე საზოგადოებას მიულოცა შობა-ახალი წელი, რის შემდეგ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტით წარმოდგენილია 14 სოციალური პროგრამა, მაგრამ როგორც მისთვისაა ცნობილი, არ მომხდარა შშმ პირთათვის პენსიების მატება. ასევე დაინტერესდა, არის თუ არა პროგრამებთან მიმართებაში რაიმე სიახლე, რაზეც მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა განუმარტა, რომ პენსიების მომატება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხდება და ეს არ არის მუნიციპალიტეტის პრეროგატივა. რაც შეეხება სიახლეებს, აღნიშნა, რომ დაემატა მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამის ფარგლებში მესამე და მომდენო ახალშობილზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა 1000 ლარის ოდენობით, ასევე, ის ბენეფიციარები არ ღებულობენ სოციალურ შემწეობას, ისარგებლებენ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით. მუნიციპალიტეტში, გასულ წელს ჰქონდათ 23 სოციალური პროგრმა, საიდანაც ერთი იყო დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო შშმ პირებთან მიმართებაში პროგრამები მიმდინარე წელს დალაგებულია ქვეპროგრამების სახით, სადაც სამიზნე ჯგუფები თითოეულთან მიმართებაში ცალკ-ცალკეა გამიჯნული. ასევე, არის მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა, სადაც გაერთიანებულია ის კატეგორია, რომელზეც დახმარების გაცემა მოხდება კომისიური წესით. გარდა ამისა, გთვალისწინებულია ცალკეული ცვლილებები სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაში.

საკრებულოს წევრი, **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა, გათვალისწინებულია თუ არა კომისიის შემადგენლობაში ოპოზიციის წარმომადგენლის ჩართვა, რაზეც მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა განუმარტა,

რომ მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში საკრებულოდან მოწვევით შედის საკრებულოს წევრი.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N3 (20.01.2026).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: .„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 22 დეკემბრის N2172 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 3500000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, 2025 წლის თებერვლის თვეში მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის კომპენსაციის გაცემის მიზნით აღნიშნული თანხა ჩამოირიცხა 2025 წლის 24 დეკემბერს, შესაბამისად მისი ხარჯვა ვერ განხორციელდა საფინანსო წლის დარჩენილ პერიოდში, 2026 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთში, მოსახლეობის საკომპესაციო თანხის შეუფერხებლად გაცემის მიზნით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.
საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N2 (20.01.2026).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: .„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მისი განმარტებით, .„სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოგიდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა. კერძოდ, ქალაქ ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, რომლის სავარაუდო ღირებულებაა 290767.22 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.
საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N3 (20.01.2026).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: .„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან განმარტა, რომ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტით წარმოდგენილია 14 სოციალური პროგრამა. მათ შორის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა (პროგრამის კოდი 06 02 24). მუნიციპალიტეტი პერსონალური ასისტენტის პროგრამას ახორციელებს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში და დელეგირებისთვის განკუთვნილი მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობით.

მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსის განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამასთან დაკავშირებით მთავრობა არეგულირებს გადაწყვეტილებას 2026 წლის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელდეს მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების გადმოცემა. იმისთვის, რომ გაგრძელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა, საჭიროა საკრებულოს მიერ დამტკიცებულ სამართლებრივ აქტში შევიდეს ცვლილება მხოლოდ ვადის გაგრძელების ნაწილში და მოქმედების ვადა განისაზღვროს 2026 წლის 01 იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი.
მომხრე საკრებულოს 30 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N4 (20.01.2026).

სხვადასხვა საკითხები:
საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო მშვიდობაძემ** მიმართა საკრებულოს წევრს, ჯუმბერ ბლაგიძეს, რომ 2026 წლის 01 იანვრიდან 18 წლამდე შშმ პირებს პენსია მოემატათ 45 ლარით, დანარჩენი კატეგორიის პირებს-20 ლარით. ამასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრმა, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ არავის ინტერესი არ აქვს და საკითხით იმიტომ დაინტერესდა, რომ მოსახლეობას უნდა მიაწოდოს სწორი ინფორმაცია.
საკრებულოს წევრმა, **გოჩა ჯანაშიამ** მიულოცა კოლეგებს სადღესასწაულო დღეები და უსურვა წარმატებები, რის შემდეგ რამდენიმე კითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს. კერძოდ:
- ჯურუყვეთში, ეწერზე, ჩიბათსა და შრომისუბანში საბავშვო ბაღები დანგრეულია და არ ფუნქციონირებს. აშენდა საბავშვო ბაღები, მაგრამ არ ფუნქციონირებს ნინოშვილსა და გულიანში. ასევე,პრობლემებია ლესის საბავშვო ბაღთან დაკაშირებითაც. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, რა ბედი ელის და როგორ განვითარდება პროცესები.
- ნიგვზიანის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარკვეული პრობლემებია გაზიფიცირებასთან დაკავშირებით.
- მოსახლეობის ინტერესიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრმა მიმართა მუნიციპალიტეტის მერს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია საჯარო მოხელეებზე გაცემულ დანამატთან დაკავშირებით.
- ბოლო პერიოდში კვლავ იჩინა თავი ფაროსანას პრობლემამ. საკრებულოს წევრის წინადადებაა, რომ საკრებულოს სხდომაზე მოწვეული იქნას იმ სამსახურის წარმომადგენელი, რომელიც ახდენს ამ კუთხით პრევენციას და მოისმინონ მისი ანგარიში.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** პირველ რიგში დამსწრე საზოგადოებას მიულოცა სადღესასწაულო დღეები და უსურვა შემდგომი წარმატება. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღების თემა ნამდვილად მტკივნეული საკითხია, რადგან არაკეთილსინდისიერმა შემსრულებელმა მოიგო ტენდერი ოთხ საბავშვო ბაღთან დაკავშირებით. დღემდე მიმდინარეობს სასამართლო დავა და არსებული ინფორმაციით, კომპანიას გაუწყდება ხელშეკრულება. ახალსოფელთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოხდება იმ ბავშვების ტრანსპორტირება, რომლებიც გადანაწილებულები არიან სხვადასხვა ბაღებში. რაც შეეხება ნინოშვილს და გულიანს, აქ ბაღები ახალ აშენებულია, მაგრამ არ გააჩნია შესაბამისი უწყების დასკვნა უსაფრთხოების შესახებ. საბოლოო ჯამში, ამ საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით, სიტუაცია მოგვარებადია და სავარაუდოდ, ახლო პერიოდში დაიწყებენ ფუნქიონირებას. პრობლემური რჩება ოთხი საბავშვო ბაღი - შრომისუბანში, ჩიბათში, ეწერსა და ჯურყვეთში, მაგრამ ამ ბაღების ბავშვებს, პედაგოგებთან ერთად მოემსახურება

ტრანსპორტი და გადანაწილდებიან უხლოეს ბაღებში, სადაც არის შესაბამისი რესურსი. ზოგადად, საბავშვო ბაღებთან მიმართებაში მუშაობა მიმდინარეობს სახელმწიფო დონეზე და საბოლოოდ, ამ კუთხით, ყველა საკითხი უახლოეს პერიოდში დადებითად გადაწყდება. გაზიფიცირებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ იმ ოთხ სოფელში, სადაც მოხდა დაქსელვა, მაგრამ არ არის ჩართული გაზმომარაგება, დაიწყება დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციო საამუშაოები. გარდა ამისა, მიდის მუშაობა, რათა ნიგვზიანის და ჯურყვეთის თემში დაიწყონ განცხადებების მიღება და გაზიფიცირების პროცესის დაწყება. ხოლო, ნინოშვილი და ჩოჩხათი რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ ჩაერთვება.
ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერი შეეხო საჯარო მოხელეებზე დანამატის გაცემის საკითხს და განმარტა, რომ ნამდვილად გაიცა რესურსის გათვალისწინებით ხელფასის გარკვეული ოდენობა და არა 100 %. ამასთან, ბოლო რვა წლის განმავლობაში არ ყოფილა პოლიტიკური თანამდებობის პირებზე პრეცედენტი დანამატის გაცემასთან დაკავშირებით. თუკი იქნება დაინტერესება თანხის ოდენობასთან დაკავშირებით, შეიძლება, ინფორმაციის ოფიციალურად გამოთხოვა. რაც შეეხება ფაროსანას საკითხს, კარგი იქნება, მოიწვიონ შესაბამისი უწყების წარმომადგენლები, რათა მოისმინონ მათი ანგარიში, თუ როგორია ვითარება და რა იგეგმება ამ მიმართულებით.
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფოს აქვს ძალიან კარგი პროგრამა. კეროდ, გაიცემა ფულადი დამარება პრეპარატების შესაძენად, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი აღებულ თაანხას არ იყენებს დანიშნულებისამებრ. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება პროცესში მოსახლეობის ჩართულობა.
საკრებულოს წევრმა, **ვარლამ ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ ,,ნისლოვანი“ შეწამვლა დიდად ეფექტური არ არის, რადგან ასევე, უნდა შეიწამლოს დაკეტილი სახლები და შენობა-ნაგებობები.
საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ, **კარლო წილოსანმა** აღნიშნა, რომ მაჩხვარეთის ბაღთან, ე.წ. ბისიეშვილების კუთხეში, ფაქტიურად მისასვლელი გზა არ არსებობს და ფეხით გავლაც კი შეუძლებელია. მოსახლეობა ითხოვს დახმარებას პრობლემის მოსაგვარებლად. თავის დროზე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძეც ჩართული იყო პროცესში. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის თხოვნაა, შეძლებისდაგვარად დროულად მოხდეს აღნიშნული საკითხის მოგვარება.
მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკაშირებით გარკვვეული ზომები მიღებულია. ადგილზე იმყოფებოდა კომისია და უახლოეს პერიოდში მოხერხდება პრობლემის მოგვარება.
საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **კარლო კვიტაიშვილი** დაინტერესდა ქალაქის წყალმომარაგებასთან დაკავშირებით, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ გაიმართა შეხვედრა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელობასთან და მიმდინარეობს ფინანსური დათვლა. კომპანიას თანხობრივად საკმაოდ მეტი ხარჯის გაწევა უხდება, რადგან მუნიციპალიტეტის მოსაზრებაა, რომ მოხდეს დაზიანებული ქუჩების ასფალტით მთლიანად გადაგება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების
სარეგისტრაციო ფურცელი

20 იანვარი 2026 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11:55.	
2	ვერიკო კვირკველია	12:01	
3	მაია ლომთაძე	11:50	
4	გიორგი ჩახვაძე	11:55	
5	გიორგი ხელაძე	11:50	
6	ალექსანდრე მახათაძე	10:55	
7	ზაზა წულაძე	11:55.	
8	კარლო კვიტაიშვილი	10:50	
9	გიორგი იმნაიშვილი	11:45	
10	ია მოქია	11:50	
11	დარეჯან ბურჭულაძე	11:55	
12	ლოლიტა ურუშაძე	11:45	
13	ვლადიმერ ნანაძე	11:55	
14	კარლო წილოსანი	11:58	
15	ნინო მშვიდობაძე	11:56	
16	ივანე ებრალიძე	11:55	
17	ირაკლი ციწცაძე	11:55	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11:57	
19	თენგიზ ხუხუნაიშვილი	11:43	
20	გოგი მორჩილაძე	11:55	
21	ელისო ჭიჭინაძე	11:50	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11:45	
23	ირაკლი ტოროტაძე	11.44	

24	ტატო ურუშაძე	11:55	
25	გელა პატეიშვილი	—	
26	თენგიზ ურუშაძე	11.50	
27	ვარლამ ჩხარტიშვილი	11:55	
28	ბესიკი კვაჭანტირაძე	11.46	
29	სამსონ კვაჭაძე	11-40	
30	გოჩა ჯანაშია	11.55	
31	თორნიკე მითაიშვილი	—	
32	ჯუმბერ ბლაგიძე	11.55	